




პროექტი #BSB-257: „ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემოსთვის“ („ზევსგესი“)
ფოთი, კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი, 22 ივნისი 2019 წ.,
სამუშაო შეხვედრა „ეკოგანათლების საკონსულტაციო საბჭო“ #1 სხდომის მონაწილეთათვის



ესწრებოდნენ:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლები: სუფსის, ჩიბათის, წყალწმინდას საჯარო სკოლების მასწავლებლები და მოსწავლეები, წყალწმინდის სკოლის დირექტორი, ლანჩხუთის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის კოორდინატორი, ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, საზღვაო გარემოს საერთაშორისო ექსპერტი ჰოლანდიიდან, საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ წარმომადგენლები.

მასალები:

ელექტრონული სახით თან ერთვის პრეზენტაცია ორივე ენაზე.

სამუშაო შეხვედრა „თევზაობა ნარჩენებზე“ (11:00-11:45):

ეკოგანათლების საკონსულტაციო საბჭოს 1-ლი სხდომის მონაწილეებს მიმართა საერთაშორისო ექსპერტმა, მაიკ მანარტმა (ჰოლანდია) მოხსენებით ზღვის ნარჩენებისგან დასუფთავების პროგრამის „თევზაობა ნარჩენებზე“ დანერგვით ევროპის ქვეყანებში არსებული გამოცდილების შესახებ. მან აღნიშნა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების მუდმივ ინფორმირებას ზღვისა და მდინარეების დაბინძურების შესახებ. ისაუბრა, ასევე, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში საგანმანათლებლო დაწესებულებების, სკოლების უდიდეს როლზე, ასევე ცნობიერების ამაღლებას და სათანადო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე.

გასეირნება „კოლხეთის ეროვნულ პარკში“ (11:45-14:30):

ერთობლივი ფოტოს გადაღების შემდეგ, საბჭოს 1-ლი შეხვედრის მონაწილეთათვის „კოლხეთის ეროვნული პარკის“ ადმინისტრაციის და „კივიტასის“ ორგანიზებით ვიზიტორთა ცენტრში გაიმართა მცირე სადილი, შემდეგ კი გასეირნება კატერით „კოლხეთის ეროვნული პარკის“ მოსანახულებლად (პალიასტომის ტბა და მდინარე ფიჩორი).